მორიგი ფრე

11 ივლისს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე შესდგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე (“ა” ჯგუფი) თბილისისა და კიევის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში უპირატესობა თბილისელთა ხელში იყო, მათ ვერ შესძლეს არამცთუ გოლის გატანა, არამედ კიეველთა კარში ერთი სერიოზული ბურთის დარტყმაც კი.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ – 0:0.

ეს უკვე თბილისელთა მესამე ფრეა. უკანასკნელი ოთხი შეხვედრიდან მათ მხოლოდ სამი ქულა მოაგროვეს. ამრიგად, ცხრა ჩატარებული შეხვედრიდან თბილისელებმა მოაგროვეს 13 ქულა (18–დან).

“კომუნისტი”, 13 ივლისი 1945 წ.